ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე / Literary Studies, Textology and Publishing

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 2 მოდულს:
1. ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა,
2. ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Arts in Philology
სპეციალობა/სპეციალიზაცია: ლიტერატურის თეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდ-ნეობა / ფილოლოგია; Literary Theory and Comparative Literature/ Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი. პროგრამის სავალდებულო კურსები _ 30 კრედიტი; სასპეციალიზაციო მოდულების კურსები _ 30 კრედიტი; არჩევითი კურსები _ 30 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი _ 30 კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული.

სამაგისტრო პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამას _ "ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე" ერთობლივად წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. პროგრამა თავისი არსითა და დანიშნულებით მულტიმეთოდოლოგიურია და ორიენტირებულია საქართველოს დასაქმების ბაზარზე.
პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრები როგორც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ძირითადი თეორიული მიმართულებების _ ინტერკულტურული და კულტურათაშორისი კვლევეების, ისე სპეციფიკური ფილოლოგიური საქმიანობის _ ტექსტოლოგიური კვლევებისა და სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობის მიმართულებით, აღჭურვოს ისინი საჭირო ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნით.
სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საწყისი საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მათ დარგებსა და ქვედარგებშჯ ან ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგებში და სურთ, გააღრმავონ პროფესიული ცოდნა ან შეიცვალონ სპეციალობა ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, აგრეთვე, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმის მიმართულებით, პროგრამის მიზანი სწორედ ამ პროფილის ფილოლოგების მომზადებაა.
პროგრამაში ჩართულია რიგი სასწავლო კურსებისა, რომლებმაც ერთი მხრივ, უნდა შეავსონ და განავრცონ საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ცოდნა, ხოლო, მეორე მხრივ, მოამზადონ მაგისტრატურის სტუდენტები შედარებით რთული და სპეციფიკური სასწავლო კურსების დასაძლევად, რომელთაც მოიცავს სამაგისტრო პროგრამა.
პროგრამაში გამოყოფილია ორი მოდული: ა) ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა; ბ) ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე. პროგრამა ეფუძნება სასწავლო კურსების სწორ თანამიმდევრობასა და ლოგიკურ ურთიერთკავშირს,

რომელზეც აგებულია მათი სემესტრული განაწილების პრინციპი. ორივე მოდულისათვის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები გამიზნულია როგორც ერთი, ისე მეორე ქვემიმართულების მაგისტრანტებისათვის და მიზნად ისახავს იმ აუცილებელი ზოგადი პროფესიული ცოდნის მიცემას, რაც ესაჭიროება თანამედროვე ტიპის მეცნიერ-ფილოლოგს, დაინტერესებულს როგორც თეორიული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებით, ისე _ პრაქტიკული ფილოლოგიური მუშაობით. მეორეს მხრივ, სასწავლო კურსები, რომლებიც განკუთვნილია ცალკეული მოდულებისათვის ქმნის სპეციფიკურ დარგობრივ ბლოკებს და შეესაბამება იმ აუცილებელ სტანდარტს, რომელიც მოეთხოვება შესაბამისი ქვემიმართულების სპეციალისტს. არჩევითი საგნები, თავის მხრივ, დალაგებულია საერთო-ფილოლოგიური ცოდნისა და დარგობრივი ცოდნის შემდგომი გაღრმავების პრინციპით.

სამაგისტრო პროგრამის “ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე” საერთო მიზნებია:

- მოამზადოს მაგისტრანტები ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის.
- საშუალება მისცეს სტუდენტს, გაიაზროს მხატვრული ტექსტი სხვადასხვა თანამედროვე კრიტიკული: მეთოდის _ ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვა _ მეშვეობით.
- დაეხმაროს სტუდენტს, ღრმად ჩაწვდეს კრიტიკული თეორიის არსს, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა ასახული ინტერპრეტაციისა და კომპარატივისტიკის (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის) კრიტიკული აზროვნების მეთოდებში.
- საშუალება მისცეს სტუდენტს, შეისწავლოს ლიტერატურა ფართო ინტერდისციპლინარულ კონტექსტში და ასახოს მისი ინდივიდუალური ინტერესი საკუთარი კვლევისას ლიტერატურათმცოდნეობასა და სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით. ეს დისციპლინებია: ქართული ლიტერატურის ისტორია, ევროპული ლიტერატურის ისტორია, ფილოსოფია, ესთეტიკა, ანთროპოლოგია, ფოლკლორი და სხვ.
- გააცნოს სტუდენტებს ძირითადი საკითხები/პრობლემები თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიულ მსჯელობებთან დაკავშირებით, გაარკვიოს ისინი კონკრეტულ ინტელექტუალურ მიმდინარეობებში, ფორმირებებში, ძირითად ცნებებსა და კრიტიკულ საკითხებში.
- მიმართოს სტუდენტის ინტერესი თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიების ათვისებისაკენ, რაც მოიცავს ნარატოლოგიას, პოსტსტრუქტურალიზმს, პოსტმოდერნისტულ აზროვნებას, სემიოტიკას, ფსიქოანალიზს, რეცეფციულ ესთეტიკას და სხვ. თეორიული ასპექტების შესწავლისას ყურადღების გაუმახვილოს ისტორიულ ფაქტორზეც, რაც, შესაბამისად, სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, გაიგონ, თუ როგორ ხდებოდა რომელიმე კონკრეტული ცნების ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია ფილოსოფიური, ესთეტიკური, პოლიტიკური და სოციალური მსჯელობების გავლენით. სტუდენტებს შეეძლებათ იმუშაონ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდზე ანტიკური და შუასაუკუნეებიდან მოყოლებული პოსტმოდერნიზმამდე.
- მიმართოს მაგისტრანტების ინტერესი ინტერკულტურული კვლევებისადმი, დაეხმაროს ლიტერატურის როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ფორმის მასშტაბურად გააზრებაში;
- გააცნოს სტუდენტებს ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი ტრადიციები, მათ შორის, ლექსმცოდნეობითი, მეთოდოლოგიები და მათი პრაქტიკაში გამოყენება და განუმარტოს მათი მიმართება თანამედროვე ევროპულ თეორიულ ტენდენციებთან.
- დაეხმაროს სტუდენტებს ტექსტის თეორიის _ ტექსტოლოგიის, როგორც აუცილებელი ფილოლოგიური დარგისა და სპეციალობის მაღალპრფესიულად ათვისებაში; ხელი

შეუწყოს სტუდენტს ტექსტოლოგიური მუშაობის თეორიული და პრაქტიკული ნიუანსების დაუფლებაში;

- გააცნოს სტუდენტებს მხატვრული და არამხატვრული ტექსტის რედაქტირების, კორექტირებისა და სტილისტური დამუშავების თეორიული და პრაქტიკული ტექნოლოგიები;
- გააცნოს სტუდენტებს საგამომცემლო საქმიანობის, როგორც ჰუმანიტარული აზროვნების აუცილებელი პრქტიკული პროდუქტის მუშაობის სპეციფიკა. მათ შორის: საგამომცემლო საქმის ისტორია, ქართული საგამომცემლო საქმის ისტორიის ჩათვლით; წიგნის ბეჭდვის ისტორია, მათ შორის ქართული წიგნის ბეჭდვისა; საგამომცემლო ტექნოლოგიები; ტექსტის გამოსაცემად მომზადების ტექნოლოგიები; ბეჭდვის ტიპები და სახეობები; თემატური გამომცემლობები; საგამომცემლო მარკეტინგი და პროდუქციის რეალიზების ტექნოლოგიები.
- დაეხმაროს სტუდენტებს, ჩამოყალიბდნენ კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიებში დაოსტატებულ პროფესიონალებად, რომელთაც შესწევთ უნარი, დააკმაყოფილონ ახალი სტანდარტები და, რაც არსებითია, ხელი შეუწყონ ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის ჩართვას მსოფლიო ფილოლოგიურ დიალოგში.
- პროგრამის განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს კვლევითი კომპონენტი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს, ერთად მოუყაროს თავი მის თეორიულ, ისტორიულ და დისციპლინურ ინტერესს, რათა დასახოს თავისი კვლევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის კონკრეტული მიზანი. კვლევითი კომპონენტი მოიცავს ლინგვისტურ/ლიტერატურული ტრადიციის შესწავლას, სპეციალურ ლიტერატურულ-ისტორიულ სფეროს, ლიტერატურულ მიმდინარეობას, მიმართულებას თუ ჟანრს, დისციპლინასთან დაკავშირებულ საგანს ან პროდუქციის სფეროს (მაგ: წიგნის გამოცემა, ფილმი, ფილოსოფია, პოლიტოლოგია, ლინგვისტიკა), სხვა ნებისმიერ, უკვე კარგად განსაზღვრულ, სწავლების სფეროს (მაგ: შუასაუკუნეების შესწავლა, თანამედროვე ევროპული ინტელექტუალური ისტორია, პოპულარული კულტურა, ხელოვნების ისტორია, წიგნის ბეჭდვის ისტორია). ამ საგნებში საკითხავი ლიტერატურა შექმნის სათანადო კონტექსტს და, შემდგომში, დაეხმარება სტუდენტებს სამაგისტრო თემაზე მუშაობისას.
- პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს, რომ მათ შეძლონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში შემდგომში, შრომით ბაზარზე წარმატებით დასასაქმებლად ან / და სწავლის გასაგრძელებლად სწავლების მესამე საფეხურზე საქართველოს უნივერსიტეტების დოქტორანტურაში ლიტერატურის თეორიის, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ლექსთმცოდნეობის, ტექსტოლოგიის, ქართული ლიტერატურის მიმართულებით ან იმ დასავლური უნივერსიტეტების ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების სადოქტორო პროგრამებზე, სადაც ფუნქციონირებს ანალოგიური პროფილის სამაგისტრო პროგრამები და მიმართულებები (ზაარლანდის უნივერსიტეტი, ათენის უნივერსიტეტი, ბარსელონას უნივერსიტეტი, ბერგამოს უნივერსიტეტი, პენსელვანიის უნივერსიტეტი, სორბონას უნივერსიტეტი).

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებში მათ დარგებსა და ქვედარგებში ან ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში, კერძოდ რეგიონმცოდნეობითი პროფილით – კავკასიოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა, ამერიკანისტიკა და სხვ. ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში.
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;

- უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა ლიტერატურის თეორიაში.

სწავლის შედეგი:

ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საქმის სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება სპეციალობაში, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები ლიტერატურათმოცდნეობით და საგამომცემლო საქმის დისციპლინებში; იგი დარგს ფლობს კონცეპტუალურ დონეზე. ასევე მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა; შესწევს დამოუკიდებლად როგორც სამეცნიერო-თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობის უნარი. მაგისტრს აქვს კარგი თეორიული და პრაქტიკული მომზადება, გააჩნია დარგობრივი კომპეტენციები და შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტურანტურაში) სწავლის გაგრძელებისთვის.

სამაგისტრო პროგრამა _ "ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და საგამომცემლო საქმე" _ შემავალი სასწავლო კურსების დაძლევის შედეგად, მაგისტრანტს უყალიბდება თანამედროვე ტიპის ფილოლოგისათვის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები. ყოველი სასწავლო კურსის სწავლების შედეგი კონკრეტული უნარ-ჩვევების გამომუშავებაა; სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის, მიმართულების აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას (რაც დეტალურად არის ასახული კონკრეტული კურსების სილაბუსების ანოტაციებსა და შინაარსებში). მოსალოდნელი შედეგების ზოგადი სისტემა ამგვარია:

1. **ცოდნა და გაცნობიერება**
   1.1 მაგისტრანტს აქვს დარგობრივი სფეროს - ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმის - უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა და უნარი ასახოს ინდივიდუალური ინტერესი საკუთარი კვლევისას ლიტერატურათმცოდნეობასა და სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან მიმართებით. ეს დისციპლინებია: ქართული ლიტერატურის ისტორია, ევროპული ლიტერატურის ისტორია, ფილოსოფია, ესთეტიკა, ანთროპოლოგია, ფოლკლორი და სხვა.
   1.2 მაგისტრს შეუძლია გაიაზროს მხატვრული ტექსტი სხვადასხვა თანამედროვე კრიტიკული მეთოდების _ ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვა _ მეშვეობით; ღრმად ჩაწვდეს კრიტიკული თეორიის არსს, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა ასახული ინტერპრეტაციისა და კომპარატივისტიკის (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის) კრიტიკული აზროვნების მეთოდებში;
   1.3 აქვს ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირების უნარი. შეუძლია ტერმინის განსაზღვრა, სწორად მისადაგება. ერკვევა თანამედროვე ინტელექტუალურ მიმდინარეობებში (მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე და შემდეგ), ფორმირებებში, ძირითად ცნებებსა და კრიტიკულ საკითხებში.
   1.4 შეუძლია ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება, აგრეთვე, ცალკეული პრობლემის გამოკვეთა, შეცნობა, გააზრება და გადაჭრა ინტერდისციპლინურ

კონტექსტში სხვადასხვა მეთოდების – ინტერპრეტაციული, კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, ჰოლისტიკური და სხვა – გამოყენებით.

1.5 შუძლია ტექსტის თეორიული და პრაქტიკული დამუშავება: ცოდნის შეჯამება, კლასიფიცირება, დასმული საკითხების შეპირისპირება და შეფასება ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობის, ლექსმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სხვა აუცილებელი მიმართულებებით;

1.6 აცნობიერებს დარგისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური პოზიციის ჩამოყალიბება.

1.7 მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

2.1 სრულად ფლობს დარგისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მეთოდებს. შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური, პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; ნებისმიერი მხატვრული და არამხატვრული ტექსტის რედაქტირება, კორექტირება და სტილისტური დამუშავება; ესმის საგამომცემლო საქმიანობის, როგორც ჰუმანიტარული აზროვნების აუცილებელი პრაქტიკული პროდუქტის, მუშაობის სპეციფიკა. შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაჭრა ახალი და ორიგინალური გზებით; შეუძლია კვლევის განხორციელება დამოუკიდებლად, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

2.2 ფლობს და იყენებს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე, შეუძლია საკვლევი პრობლემების შერჩევა, დაკავშირება, კონსტრუირება. მუშაობს ზუსტად და ეფექტიანად;

2.3 შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარების შეძენა და გამოყენება ყოველ კონკრეტულ ვითარებაში. ეძებს ამოცანების გადაწყვეტის ახალ და ორიგინალურ გზებს.

2.4 მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

3. დასკვნის უნარი

3.1. შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

3.2. კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებითა და დარგობრივი სფეროს უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით, მაგისტრს შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი – ანალიზი, კატეგორიზაცია, შედარება, შეპირისპირება, დასკვნების გამოტანა.

4. კომუნიკაციის უნარი

4.1 შეუძლია განახორციელოს თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების დამაჯერებელი, მკაფიო, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ

ენებზე; შეუძლია თავისი პოზიციის გამოხატვა, რეაგირება განსხვავებულ აზრზე, პროფესიულ კამათში ჩართვა, მოსაზრებების შეჯამება;

4.2 მაგისტრი მუშაობისას ითვალისწინებს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს. ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

5. სწავლის უნარი

5.1 მაგისტრს გამომუშავებული აქვს შემდგომი საჭირო სწავლის უნარი: შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;

5.2 აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს, დამოუკიდებლად გეგმავს დროს და ახორციელებს სამუშაოს. გამომუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მაღალი დონე.

6. ღირებულებები

6. 1 მაგისტრი მუშაობისას ითვალისწინებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს;

6.2. შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლების პროცესში დავეყრდნობით სალექციო და სამუშაო ჯგუფების, შუალედური და ფინალური წერითი გამოცდების, პრეზენტაციების ფორმებს. გამოყენებული იქნება ვერბალური, წიგნზე მუშაობის, მასალის დაკონსპექტების, ანალიზის, სინთეზის, ახსნა-განმარტებისა და ჯგუფური მუშაობის მეთოდები. გამოყენებული იქნება დარგობრივი ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდები, აგრეთვე აღწერითი, შედარებითი, შეპირისპირებითი მეთოდები.

სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა: სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა გამოხატული იქნება ასბალიანი სისტემით. მინიმალური შეფასება _ 51 ქულა, მაქსიმალური _ 100 ქულა. შეფასების სისტემა განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად. სამაგისტრო ნაშრომიც შეფასდება თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ დადგენილი საერთო წესით.

დასაქმების სფეროები: აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც მკვლევარსა და ლექტორს, მუშაობა შეეძლება:

- საჯარო სკოლაში (პედაგოგთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ), უმაღლეს სასწავლებლებში _ შესაბამისი მიმართულების შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე;
- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში;
- მუზეუმებში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში;
- რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად;
- საქართველოს ცენტრალურ არქივსა და სხვა არქივებში;
- საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა თუ სემინარიაში;
- არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად.

დამატებითი ინფორმაცია:

სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა შეადგენს 10 სტუდენტს.

მაგისტრანტები მიიღებენ აუცილებელ ინფორმაციას პროგრამის სტრუქტურის შესახებ ტუტორების მეშვეობით, ხოლო პროგრამაში მონაწილე პროფესორები გაუწევენ აუცილებელ ინდივიდუალურ კონსულტაციებს წინასწარ დადგენილ საათებში (პროფესორთა საკონსულტაციო გრაფიკი სემესტრის დასაწყისში გამოიკვრება).

სასწავლო გეგმა (იხ. დანართი 1)

საწავლო კურსების სილაბუსები (იხ. დანართი 2)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ირმა რატიანი

ინფორმაცია პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის შესახებ (იხ. დანართი 3)
ირმა რატიანი _ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი; შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი;
რამაზ ჭილაია _ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი;
სოლომონ ტაბუცაძე _ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობის _ "ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა" მთავარი სპეციალისტი.
მაკა ელბაქიძე _ თსუ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საგამომცემლო საქმის კოორდინატორი.
ნანა ფრუიძე _ თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი (მოწვეული ლექტორი);
თამარ ბარბაქაძე _ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (მოწვეული ლექტორი);
ანა ლეთოდიანი _ თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი.
თინათინ ბოლქვაძე _ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი;
კახაბერ ლორია _ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სრული პროფესორი;
ზაზა ხინთიბიძე _ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი;
ელენე გოგიაშვილი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი;
ანა ხარანაული - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი;
ლადო მინაშვილი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი;

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

მატერიალურ ტექნიკურ ბაზად გამოყენებული იქნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის აუდიტორიები, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლიტერატურული არქივი, კომპიუტერული ცენტრი; "ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა", "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", აგრეთვე, პროგრამასთან სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებული საგამომცემლო სახლები და სტამბები

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო საქმის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა**

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე**

სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **პროფესორი ირმა რატიანი**

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011** (უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს №122/2011 დადგენილების საფუძველზე)

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011/2012 სასწავლო წელი**

სავალდებულო კურსები - 30												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**ECTS კრედიტების რაოდენობა**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სემინარი / ჯგუფი / პრაქტიკუმი**	**ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება**	**შუალედური გამოცდის/გამოცდები**	**დასკვნითი გამოცდის მოსამზადება**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
	ლიტერატურული ჟანრის პოეტიკა. ჟანრული მოდელები და	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ი. რატიანი (ლექცია)/ სოლომონ ტაბუცაძე

	მოდიფიკაციები											(სემინარი)
	თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობანი – მოდერნიზმიდან გლობალიზაციამდე	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ი. რატიანი (ლექცია)/ სოლომონ ტაბუცაძე (სემინარი)
	ქართული ლექსის პოეტიკა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თ. ბარბაქაძე
	ტექსტოლოგია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ნ. ფრუიძე
	ნარატოლოგია –თხრობის თეორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		გაგა ლომიძე
	XX საუკუნის ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიური სკოლები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ი. რატიანი (ლექცია)/ სოლომონ ტაბუცაძე (სემინარი)
არჩევითი მოდულები – 30 კრედიტი (ECTS)												
I მოდული: ————ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა ——————————— სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
	პოეტიკა, რიტორიკა, სტილისტიკა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ანა ლეთოდიანი
	ავტოროლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	რ. ჭილაია
	დრამის პოეტიკა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ი. რატიანი(ლექცია)/ სოლომონ ტაბუცაძე (სემინარი)
	ქრონოტოპის თეორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ი. რატიანი(ლექცია)/ სოლომონ ტაბუცაძე (სემინარი)
	ტექსტის კვლევის ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ი. რატიანი გ. ლომიძე (ლექცია)/ სოლომონ ტაბუცაძე

	მეთოდოლოგიები											(სემინარი)
	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა)	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		რ. ჭილაია
II მოდული: ————ტექსტოლოგია და სარედაქციო–საგამომცემლო საქმე ———————— სავალდებულო სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
	პრაქტიკული ტექსტოლოგია	10	30	30	**150**	16	20	4	წინაპირობის გარეშე	III		ნ. ფრუიძე
	ტექსტის რედაქტირების მეთოდიკა და სტილისტიკა	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ნ. ფრუიძე (ლექცია)/ ეკატერინე ნავროზაშვილი (სემინარი)
	საგამომცემლო საქმე	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	რ. ჭილაია
	წიგნის ბეჭდვის ისტორია და ტექნოლოგიები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		მ. ელბაქიძე (ლექცია)/ ანა ლეთოდიანი (სემინარი)
	საგამომცემლო სახლები. მიზნები და სტრატეგიები	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	მ. ელბაქიძე
არჩევითი სასწავლო კურსები – 30 კრედიტი (ECTS)												
	ლიტერატურის სემიოტიკა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		თ. ბოლქვაძე
	ერთი მწერლის პოეტიკა	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თ. ბარბაქაძე
	სამეცნიერო-ლიტერატურული წერის კულტურა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ნ. ფრუიძე(ლექცია)/ ეკატერინე ნავროზაშვილი

												(სემინარი)
	სამეცნიერო-ლიტერატურული წერის კულტურა 2	5	30	30	45	8	9	3	სამეცნიერო-ლიტერატურული წერის კულტურა 1		II	ნ. ფრუიძე(ლექცია)/ ეკატერინე ნავროზაშვილი (სემინარი)
	ქართული რომანი მსოფლიო რომანისტიკის კონტექსტში *(ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		კ. ლორია
	საგამომცემლო საქმის მენეჯმენტი[1]	**5**	**15**	**30**	**60**	**8**	**9**	**3**	**წინაპირობის გარეშე**		**II**	**სოლომონ ტაბუცაძე, გივი ხარაული თათია ობოლაძე**
	ქართული ლიტერატურათმცოდნეობა. მეთოდოლოგიები და პრაქტიკები	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ი. რატიანი(ლექცია)/ სოლომონ ტაბუცაძე (სემინარი)
	რომანტიზმი და რეალიზმი. ევროპული და ქართული ლიტერატურული გამოცდილება	5	30	15	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ლ. მინაშვილი,
	მითის პოეტიკა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ე. გოგიაშვილი
	ტექსტუალური კრიტიკის თეორია და პრაქტიკა 1 (ქართველური ენათმეცნიერების	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ა. ხარანაული

[1] 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე აღნიშნული საგნის ნაცვლად ცხადდებოდა საგანი - *ჰომეროსი და რუსთაველი. ანტიკური და შუასაუკუნეობრივი ეპოსის კომპარატივისტული ანალიზი.*

	სამაგისტრო პროგრამიდან)											
	მცირე ზომის გერმანულენოვანი ლიტერატურული ტექსტები: შვანკი, ნოველა, მოთხრობა *(გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	75	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	პროფ. დოქტ. თამარ ჭუმბურიძე
	პრაქტიკული რიტორიკა *(სამაგისტრო პროგრამიდან თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა)*	5	30	30	44	10	8	3	წინაპირობის გარეშე		II	პროფ. ნანა გაფრინდაშვილი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)2	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1/ ტესტი	x	x	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									IV	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

თარიღი ——————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი